

საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის სექტემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის სექტემბრის თვეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2021 წლის 29 სექტემბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ:

73¹ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება ამ ინსტრუქციის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წლებიდან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ (რეგისტრაციის საგადასახადო წლის ჩათვლით) დარჩენილი წლების მიხედვით, დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად, კერძოდ:

ა) დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება ამ ინსტრუქციის 73-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესით, თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამოიზნულია გამოსაყენებლად როგორც ოპერაციებისთვის, რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია;

ბ) დასაბეგრ პირს უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან არაუგვიანეს დეკემბრის საანგარიშო პერიოდისა სრულად მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამოიზნულია გამოსაყენებლად მხოლოდ ისეთ ოპერაციებში, რომლებზეც გააჩნია ჩათვლის მიღების უფლება.“;

მე-2 პუნქტს შემდეგ დაემატა ახალი 2¹ პუნქტი:

„იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2021 წლის 1 იანვრამდე და რეგისტრაციის თარიღამდე ექსპლუატაციაში შესულ ძირითად საშუალებებზე ვერ განახორციელა დღგ-ის ჩათვლა, უფლება აქვს 2021 წლიდან ჩათვლისთვის განსაზღვრული დარჩენილი წლების პროპორციულად განსაზღვრული დღგ-ის თანხა ჩაითვალოს ყოველი წლის ბოლოს დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017510

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდება 2021 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამავე ბრძანებაში 2021 წლის 14 სექტემბერს შევიდა ცვლილება დამტკიცებული ინსტრუქციის 107-ე მუხლის მე-4 პუნქტის შენიშვნის მე-2 პუნქტში და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ლიცენზიის/მისი ნაწილის იჯარით გაცემისას, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენას და მოსაკრებლის თანხის გადახდას ახორციელებს ლიცენზიის მესაკუთრე.“.

ცვლილება აგრეთვე შეეხო 112-ე მუხლს და მას დაემატა შემდეგი შინაარსის 50-ე პუნქტი:

„50. თუ 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და მოსაკრებლის გადახდა განხორციელებულია ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ, ამ ნაწილში ვალდებულია შესრულებულად ჩაითვლება ლიცენზიის მესაკუთრის მიერ.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017503

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2021 წლის 29 სექტემბერს ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციებში. კერძოდ:

1. „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) „ყვითელი დერეფანი“ – საქონლის გაფორმებას საქონლის დათვალიერების გარეშე, დეკლარაციისა და დოკუმენტების სრული ან ნაწილობრივი კამერალური შემოწმებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, ხოლო საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში – საქონლის გაშვებას კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტიის წარდგენით ან/და კუთვნილი იმპორტის გადასახდელის გადახდით;“.

2. „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) „ყვითელი დერეფანი“ – საქონლის გაფორმებას საქონლის დათვალიერების გარეშე, დეკლარაციისა და დოკუმენტების სრული ან ნაწილობრივი კამერალური შემოწმებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, ხოლო საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში – საქონლის გაშვებას კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტიის წარდგენით ან/და კუთვნილი იმპორტის გადასახდელის გადახდით;“.

აგრეთვე „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს დაემატა „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„ე) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ერთი თერთმეტნიშნა სასაქონლო კოდის საქონელზე წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრისა და შტრიხკოდის მინიჭება და საქონლის გაშვება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, თუ:

ე.ა) წარდგენილია არანაკლებ კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტია, ან

ე.ბ) სრულად გადახდილია კუთვნილი იმპორტის გადასახდელი, ან

ე.გ) იმპორტის გადასახდელის ნაწილი გადახდილია და დანარჩენ ნაწილზე წარდგენილია გარანტია.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის გადახდა უნდა დასტურდებოდეს საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების

შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საბაჟო გამშვებ პუნქტში ან გაფორმების საბაჟო ორგანოში წარდგენით.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017511

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2021 წლის 21 სექტემბერს განხორციელდა ცვლილება და შესაბამისად, „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის III ნაწილის მე-3 პუნქტის შენიშვნის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) ვარსკვლავით (*) მონიშნული გრაფები ივსება მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების დეკლარირების შემთხვევაში; ამასთან, გრაფაში „საქონლის წარმომავლობა და მიზნობრიობა“ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების წარმომავლობა და საზღვარგარეთ ფიზიკური პირის საქმიანობის სფერო (დეტალური აღწერით);

ა.ბ) ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების მიზნობრიობა, კერძოდ, რა მიზნით ხორციელდება აღნიშნული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილება;

ა.გ) ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის შემოტანისას – საქართველოში ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის დეტალური აღწერა (მათ შორის, საქმიანი პარტნიორების (სამეწარმეო ინტერესით დაკავშირებული პირები) საიდენტიფიკაციო მონაცემების სრულად მითითებით);

ა.დ) საქართველოში ყოფნის დაგეგმილი ხანგრძლივობა, საცხოვრებელი მისამართი და სხვა საკონტაქტო მონაცემები (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში);

ა.ე) ფიზიკური პირის მიერ წინა პერიოდში ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების დეკლარირების შემთხვევაში – მათი გამოყენების მიზნობრიობა, კერძოდ, რა მიზნითა და რა დანიშნულებით მოხდა მათი განკარგვა.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017506

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-79/6

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-79/6-ით განისაზღვრა ღამის სამუშაოზე წლიური სამუშაო დროის პროპორციული განაკვეთი და შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირად განისაზღვრა:

ა) ნებისმიერი დასაქმებული, რომელიც ყოველდღიური ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში ღამის დროის (22 საათიდან 6 საათამდე) განმავლობაში, ჩვეულებრივ, მუშაობს არანაკლებ 3 საათს; ან

ბ) ნებისმიერი დასაქმებული, რომელიც წლიური სამუშაო დროის არანაკლებ ერთ მეოთხედს მუშაობს ღამის დროის (22 საათიდან 6 საათამდე) განმავლობაში.

ამავე ბრძანებით დამტკიცდა „ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირისთვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომი პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარების პერიოდულობა და ფარგლები“. აღნიშნული დოკუმენტი აწესრიგებს ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირისთვის წინასწარ (დასაქმებამდე) და შემდგომ პერიოდული სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბრძანება განმარტავს რომ დასაქმებულის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებული წინასწარი (პროფესიული) სამედიცინო შემოწმების მიზანია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა მოცემული ღამის სამუშაოსათვის ანუ იმ დაავადებებისა, თუ პათოლოგიური მდგომარეობის გამოვლენა, რომლის დროსაც კონტაქტი მოცემულ პროფესიულ ფაქტორთან უკუნაჩვენებია, შესაბამისად, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, ღამის სამუშაოზე პირის დასაქმებამდე და ბრძანებით გათვალისწინებული პერიოდულობით, დამსაქმებელი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, რათა დადგინდეს ღამით მუშაობის პოტენციური რისკები და უარყოფითი შედეგები დასაქმებულის ჯანმრთელობაზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016905

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/6

2021 წლის 3 სექტემბერს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებაში და შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც შეეხება მანდატურის სამსახურის ვალდებულებებს, რეგულირების სფეროს და მიზანს, ტერმინთა განმარტებას, ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, მრჩეველთა საბჭოს, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობას, ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევას, ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესს, მანდატურის უფლება-მოვალეობებს, მანდატურობის კანდიდატების შეფასებას, იმ მანდატურობის კანდიდატების დანიშვნას, რომლებმაც წარმატებით გაიარეს მოსამზადებელი კურსები, უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 430090000.22.022.018077

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №580 ბრძანება

2021 წლის 1 სექტემბერს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №580 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით სრულად აცრილი პირების მიერ 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის, აგრეთვე უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერის 1 სამუშაო დღის ვადაში მომზადების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაზე.“.

2. ბრძანებას დაემატა შემდეგი შინაარსის 3² მუხლი:

„მუხლი 3²

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით სრულად აცრილი საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები 2021 წლის 1 ნოემბრამდე ერთჯერადად თავისუფლდებიან სააგენტოს მიერ გაწეული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის/ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული საფასურების გადახდისაგან, თუ მოთხოვნილია:

ა) ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის 1 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაცია (მათ შორის, მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით მოთხოვნის შემთხვევაში);

ბ) უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერის 1 სამუშაო დღის ვადაში მომზადება, გარდა მოთხოვნის ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით განხორციელებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით სრულად აცრის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის, თუ ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით სრულად აცრის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული საშუალებით.“.

ბრძანების აღსრულება დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და „იუსტიციის სახლს“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.027.017251

ეს ბრძანება ამოქმედდება 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №450

2021 წლის 7 სექტემბერს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-4 მუხლის:

1. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. 2021 წლის 25 აგვისტოდან აკრძალულია ნებისმიერი ტიპის გასართობი, სახელოვნებო, საფესტივალო და კულტურული (გარდა სათეატრო და კინემატოგრაფიული ხასიათისა) ღონისძიების ჩატარება.“.

2. 6¹ პუნქტის შემდგომ დაემატა შემდეგი შინაარსის 6² და 6³ პუნქტები:

„6². ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება სასტუმროს ტერიტორიაზე კონცერტის ჩატარებაზე და ამასთან, სასტუმროს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საკონცერტო ინფრასტრუქტურა და კონცერტი უნდა ჩატარდეს სასტუმროს დამსვენებლებისთვის, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

6³. დასაშვებია მაყურებლის გარეშე სპორტული ღონისძიებების (შეჯიბრებები, შეკრებები) ჩატარება და ამასთან, აღნიშნულ ღონისძიებებზე მონაწილეები დაიშვებიან სრულად ვაქცინირებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ ან ღონისძიებამდე 72 საათით ადრე PCR ტესტის ან 24 საათით ადრე სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხის საფუძველზე.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე:
<https://matsne.gov.ge/> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023005

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე დადგენილებაში 2021 წლის 15 სექტემბერს შეტანილ იქნა ცვლილება და იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-3 მუხლის 5² პუნქტის შემდეგ დამატდა შემდეგი შინაარსის 5³ პუნქტი:

„5³. ნებისმიერი ტიპის ტრენინგზე, კონფერენციასა და სემინარზე მონაწილეთა დასწრება დასაშვებია, თუ ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.“.

2. მე-4 მუხლის 6³ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6³. დასაშვებია მაყურებლის გარეშე სპორტული ღონისძიებების (შეჯიბრებები, შეკრებები) ჩატარება და, ამასთან, აღნიშნულ ღონისძიებებზე მონაწილეები დაიშვებიან სრულად ვაქცინირებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ, ან ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ მომდევნო 6 თვის მანძილზე, ან ღონისძიებამდე 72 საათით ადრე PCR ტესტის ან 24 საათით ადრე სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხის საფუძველზე.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე:
https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო ნომრით: 470230000.10.003.023024

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე დადგენილებაში 2021 წლის 30 სექტემბერს შეტანილ იქნა ცვლილება და შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის:

1. 2¹ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2¹. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების ან/და სასკოლო მზაობის პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები არ განახორციელებენ სააღმზრდელო/სასწავლო პროცესს 2021 წლის 4 ოქტომბრამდე, ხოლო 2021 წლის 4 ოქტომბრიდან აღნიშნული დაწესებულებები სრულად აღადგენენ სააღმზრდელო/სასწავლო პროცესს.“.

2. 2³ და 2⁴ პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2³. ჯანდაცვის მიმართულების იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს პაციენტთან კონტაქტს, კლინიკური სწავლების არადისტანციურ რეჟიმში განხორციელებისას პერსონალი და სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) სრულად ვაქცინირებულია;

ბ) უზრუნველყოფს უარყოფითი PCR ტესტის წარდგენას კვირაში ერთხელ;

გ) ახალი კორონავირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

2⁴. 2021 წლის 4 ოქტომბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი გაგრძელდება დასწრებით ფორმატში, არადისტანციურ რეჟიმში;

ბ) პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი არიან, სასწავლო პროცესი განაახლონ დასწრებით ფორმატში, არადისტანციურ რეჟიმში.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე:
<https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023037

დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 4 ოქტომბრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №7

2021 წლის 30 სექტემბერს შეტანილ იქნა ცვლილება „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და

ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის №7 დადგენილებაში და დადგენილებას დაემატა შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. წინამდებარე დადგენილების 1-ლი პუნქტით დადგენილი წესის მოქმედება, ამავე წესით განსაზღვრული ვადების დაცვით, ვრცელდება იმ ინვესტორების მიმართაც, რომლებსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებთან ან მათ მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებთან გაფორმებული ოქმით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი აქვთ შესაბამისი ვალდებულებები და მიმართავენ სამინისტროს მათზე სარგებლობაში გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 040090000.32.057.016350

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-16 მუხლის 1¹ ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1¹. ამ კოდექსის 45-ე, 45¹, 115¹, 116-ე, 118⁴, 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საერთო საფუძველზე, აგრეთვე დისციპლინურ წესდებათა მიხედვით.“.

2. მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-7-მე-9 ნაწილებით, 119-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 120-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 125-ე მუხლის მე-5, მე-10 და მე-11 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც დაზიანებულია სატრანსპორტო საშუალება, დადგენილია სამართალდამრღვევი და გამოწერილია შესაბამისი საჯარიმო ქვითარი, დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მფლობელის) მიერ წარდგენილი განცხადებისა და უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული

დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის დადგენილებას და მის საფუძველზე გასცემს სააღსრულებო ფურცელს, რომლითაც სამართალდამრღვევს დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მფლობელის) სასარგებლოდ დაეკისრება დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენისთვის, ხოლო აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი შენაცვლებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.“.

ცვლილება ასევე შეეხო სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის, სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვას და სატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებული სხვა, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებს, მოპედის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვას და მოპედის მართვასთან დაკავშირებული სხვა, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020392

ეს კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების ჩამონათვალის/ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება №01-78/5

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 66-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცდა:

„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების თანდართული ჩამონათვალი/ნუსხა“.

ბრძანებითვე განისაზღვრა, რომ განსაზღვრული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამსახურში მომუშავე დასაქმებულებს აქვთ გაფიცვის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უზრუნველყოფენ მინიმალური მომსახურების მიწოდებას, რომელიც გულისხმობს, მინიმალური საოპერაციო მომსახურების შესრულებას იმგვარად, რომ დაკმაყოფილებულია მომხმარებელთა საბაზისო მოთხოვნები და ამგვარი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოდ

და შეფერხების გარეშე. მინიმალური მომსახურების ორგანიზება და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (მათ შორის მომსახურების მიმწოდებელი დასაქმებულთა მინიმალური რაოდენობა) განისაზღვრება კოლექტიური შრომითი დავის მონაწილე სუბიექტებს შორის მოლაპარაკების და შეთანხმების შედეგად, რომელიც უნდა შედგეს გაფიცვის შესახებ მინისტრისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნამდე. აღნიშნულ საკითხზე ნებისმიერი უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016904

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

„შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №01-25/6

2021 წლის 13 სექტემბერს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 13 ოქტომბრის №01-25/6 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი („შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები“) ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით.

განახლებული დანართი №1-ით განისაზღვრა მოქმედების სფერო და ფარგლები, ტერმინთა განმარტება, აკრედიტებული პროგრამის სასწავლო კომპონენტის ძირითადი მიმართულებები, სრული აკრედიტებული პროგრამა, აკრედიტებული პროგრამა დაბალი და საშუალო რისკის ობიექტებზე, სპეციალური პროგრამა, სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაცია, პროგრამის აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასური, სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის ვალდებულებები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია/პირი, სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტანდარტები, პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების წესი, აკრედიტაციის კომისია, აკრედიტაციის კომისიის სამდივნო, კრედიტაციის კომისიის სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება, პროგრამის აკრედიტაციის ვადა და მისი გაგრძელების წესი, მოთხოვნები სწავლების განმახორციელებელი პირის მიმართ, სწავლების მსურველი პირის სერტიფიცირება, აკრედიტებული პროგრამის მსმენელი და მისი სერტიფიცირება, მონიტორინგი

აკრედიტირებული პროგრამის პირობებზე, საგამოცდო ცენტრი, სერტიფიკატი, სერტიფიკატის დანართი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016907

ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 10 ოქტომბრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №12

2021 წლის 22 სექტემბერს „ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების წესისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 28 ოქტომბრის №12 ბრძანებით დამტკიცებულ ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების წესში შეტანილ იქნა შემდეგი შინაარსის ცვლილება:

1. 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დანართი №1“-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„2. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამსახურის მიერ გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 070010040.64.076.016103

ეს ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანება №05

2021 წლის 13 სექტემბერს „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს ტერმინთა განმარტებას, განაცხადის წარდგენას, განაცხადთან დაკავშირებულ საბუთებს, განაცხადის შეტანის თარიღის დადგენას, საქპატენტთან მიმოწერას, განაცხადის მასალების შევსებას, შეცვლას, შესწორებას და დაზუსტებას, განაცხადის გაყოფას, განაცხადის განხილვის შეჩერებას, განაცხადის დამოწმებული ასლის მოთხოვნას, განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტას, ანაცხადზე საქმისწარმოების აღდგენას და სხვ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 050050000.48.065.016030

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.